

# აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალური სეგმენტის აღმოსავლეთ ნაწილის ზედა ცარცულ-პალეოგენური აუზების გეოდინამიური გარემო და პალეოეკოლოგია

ზურაბ ლებანიძე

[Zurab.lebanidze@tsu.ge](mailto:Zurab.lebanidze@tsu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტის ქ. #13, 0186, თბილისი, საქართველო

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალური სეგმენტის აღმოსავლეთ ნაწილში ცარცული წარმონაქმნები წარმოდგენილია ორი ფაციესით: ვულკანოგენურით და კარბონატულით. ვულკანოგენური სერიით აგებულია სეგმენტის მსხვილი ანტიკლინების გულები. კარბონატული ზედა ცარცი აგრძელებს ვულკანოგენურს და წარმოდგენილია მერგელების შუაშრეების შემცველი ვარდისფერი, მოწითალო, თეთრი და ნაცრისფერი კირქვებით, რომლებშიც გვხვდება კაჟის მარღვები და ლინზები. კარბონატულ ზედა ცარცს აღმავალ ჭრილში მოყვება პალეოცენ-ქვედაეოცენური ფლიშური სერია, რომელიც "ბორჯომის ფლიშის" სახელწოდებითაა ცნობილი (И. Гамкрелидзе. 1949). იგი წარმოდგენილია კირქვების, მერგელების, თიხების და არგილიტების რიტმული მორიგებით აგებული ტერიგენულ-კარბინატული სერიით, ზედა ნაწილში გვხვდება ვულკანიზმის პროდუქტებიც. პალეოცენ-ქვედაეოცენურ ნალექებს აღმავალ ჭრილში აგრძელებს შუაეოცენური, მძლავრი ვულკანოგენ-დანალექი სერია, რომელიც ძირითადად სუბტუტე ბაზალტოიდებით არის აგებული. თუმცა აღმოსავლეთ მიმართულებით ჩნდება ამ ქანების კირტუტე სახესხვაობები და უფრო მკავე წარმონაქმნები – ანდეზიტო-ბაზალტები და ანდეზიტები.

ცენტრალურ სეგმენტში ნალექდაგროვების ცარცულ-პალეოგენური ციკლი მიმდინარეობდა წყვეტილად, რაც გამოიხატა უთანხმოებებში გვიან ტურონის, გვიან სენონის, გვიან პალეოცენის, შუა და გვიანი ეოცენის წინ. ამასთან, ზედაცარცულ და პალეოცენ-ეოცენურ ნალექებში ხშირია შიდაფორმაციული კონგლომერატები, ბრექჩიები და ოლისტოლითები, რაც მათ რეგრესიულ ბუნებაზე მიუთითებს. (А. Цагарели. 1964. Г. Надареишвили. 1981).

საკვლევი ობიექტების სტრუქტურულ-გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ზედაცარცულ-პალეოცენური ფლიშური სერიის გაშიშვლებებში შრეებრიობის ზედაპირების მცირე ფართობები შიშვლდება, ამიტომ ნამარხი ნაკვალევები ფრაგმენტული, ცუდად დაცულია და პრაქტიკულად არ ისაზღვრება.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით აჭარა-თრიალეთის ზონის ცენტრალურ სეგმენტში საინტერესოა შუაეოცენური ვულკანოგენ-დანალექი სერია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად სერიის სხვადასხვა დონეზე დადგინდა განსხვავებული იქნოცენოზების არსებობა: ქვედა ნაწილში – ღრმა ზღვის ფსკერის ბინადარი სპირალური ფორმები: **Spiroraphe**, **Cosmoraphe**, **Neonereites**, (მდ. ტანას, მდ. მტკვრის (ახალდაბა, ლიკანი), მდ. ბორჯომულას ჭრილები). ზედა ნაწილში კი უფრო მარჩხი აუზისათვის დამახასიათებელი ფორმა **Gyrochorte** (მდ. ტანას ჭრილი).

ამრიგად, აჭარა-თრიალეთის ზონის ცენტრალური სეგმენტის ჭრილში განვითარებულია ფაციესები, რომლებიც დამახასიათებელია ფსკერის ხშირი მერყეობის მქონე აუზისათვის. შუაეოცენური დროისათვის ეს დასტურდება პალეოიქნოლოგიური მონაცემებითაც.